იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

ოთხშაბათი 6 აგვისტო

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია
„იმერეთი“
თბილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში. სახლი ოცხელისა.
ტელეფონი № 4.

№ 123 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 123

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

— „იმერეთი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . .	7 მანეთი.
ნახევარი წლით . . .	4 მანეთი.
ერთი თვით . . .	4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . .	1 შაური.

წლიური დამკვეთელთათვის ეს ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ენკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით редакція ,,ИМЕРЕТИ''

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

ექიმის იკ. ბოკერიის

საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

ამ დღეებში

ქუთაისში გამოვა ალმანახი

,,ქუთაისის საქმიანობა“.

ალმანახში დასაბეჭდი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Ивановская 40. ალმანახი გამოვა ქალაქის ხმოსანთა არჩევნების მოახლოების გამო და შიგ მოთავსებული იქნება წერილები ქალაქის თვითმმართველობის მოღვაწეობაზე.

ქუთაისი. დაიბეჭდა და იყიდება

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

შემდეგი ახალი საკუთარი გამოცემები:

„მამულის სიყვარული და მსახურება“—ნ. ნიკოლაძისა ფ. 1 აბაზი
„ხუცური ანბანი“ და კარიჭაშვილისა . . . ფ. 1 აბაზი
„ლოცვანი“ მღვდ. პლ. ცქიტიშვილისა 2 შაური (ყდით 3 შაური)
„მაქარას ნაამბობი“—ს. ყიფიანის . . . 3 კაპ.
„ქართული მოძრავი ანბანი“ . . 2 შაური (კარდონზე 10 შაური)

იბეჭდება და მალე გამოვა დასურათებული სახელმძღვანელო „გუთანი“, მესამე გამოცემა.

ქუთაისი

პირველი კერძო სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დილით.	
პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი **ვ. პ. მოსეშვილი** შინაგანი და ნევრების.	
ბ. ა. **მარაქოვი**—ყელის, ცხვირის, ყურისა.	1—2
გ. ს. **ნადირაძე**.—შინაგანი და ბავშის	10—11
ა. ა. **რელიგიონი**—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე . .	11—2
მ. დ. **ბეთანოვი**.—კანის, ათაშანგი, ვენერ.	12—2
გ. ა. **ჭოლოშვილი**—საბებ., ქალთა და შინაგ.	$12^{1}/_{2}$2მ
საღამოთ.	
გ. ლ. **ქორქაშვილი**—თვალის ხუთშაბათობით	$4^{1}/_{2}$—$5^{1}/_{2}$
გ. ა. **ჭოლოშვილი**—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . .	$5^{1}/_{2}$—6

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი

ექიმი მ. დ. ბეთანოვი იღებს კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

დამეკარგა ატტესტატი 471, ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეს ალექსანდრე გუგუციძეს. მნახველს მიეცემა შესაფერი ჯილდო და ვსთხოვ წარმოადგინოს გაზეთ „იმერეთის“ რედაქციაში.

ქალაქის ამომრჩეველთა საყურადღებოთ:

ქალაქში ხმა გავრცელდა, თითქოს ქუთაისის ქალაქის საბჭოს არჩევნები მომავალი ოთხი წლისათვის (1914—1918 წ.წ.) სხვა დროისათვის გადადებულიყოს. ამის გამო ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ეს

ხმა სიმართლეს მოკლებულია:

არჩევნები მოხდება მდგომარე **1914** წლის **14** სექტემბერს,

და იმ პირთ, რომელთაც სურთ შეტანილ იქნენ მდგომარე აგვისტოს 14 რიცხვისათვის გამოსაცხადებელ საბოლოო საარჩევნო სიაში,

დაუყონებლივ უნდა შემოიტანონ მათზე დარჩენილი საქალაქო გადასახადის ,,ნედოიმკები“.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

ექიმი ვ. ი. კაკიტელაშვილი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. გარდა მილისა და ბუშტის ელექტრონით შანაოება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

მისამართი: ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი, ბავშების და ნერვების სნეულებანი) დილით 9 2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე თფილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში (ქალაქის პირველ აფთიაქის პირდაპირ).

ქ. ქუთაისში

კბილის ექიმი

ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

ექიმი კ. ტყეშელაშვილი ღებულობს ავათმყოფს (ვენერიული, კანის, და სიფილისისა) **იკვლევს ვასსერმანის მეთოდით სისხლს.** დილით 9—1, საღამოთი 6—8 ვიტუშინსკის სახლი, რიონის პირათ პუშკინის ქუჩიდან შესახვევი.

ექიმი ი. ა. ცეხანოვსკი გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5—8 საათ.

დოკტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვ. პ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა **კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე** დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

სრულიად ევროპის ომი

დეპეშები

პეტ. დეპ. სააგენტოსაგან.

5 აგვისტო.

პეტერბურგი. ოფიციალური ცნობა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის შტაბის მთავარ სარდლისა. 31 ივლისიდან 3 აგვისტომდე გალიციის საზღვრებზე მყოფ მზვერავისა და ჯარების დამცველ ნაწილთა მოქმედებამ ვამოიწვია მთელი რიგი ბრძოლისა. ამ ბრძოლის დროს ცხენოსნებს ხშირად ეშველებოდენ ქვეითა ჯარებიც ტყვიისმტყორცნელებითა და ზარბაზნებით.

მოწინაალმდეგის მზვერავმა ცხენოსანთა რაზმმა გადალახა საზღვრები პეტერკოვისა და კელეცის გუბერნიებისა და დაიჭირა ჩესტოხოვი, ანდრეევი და სანდომირი. სანდომირის სამხრეთ აღმოსავლეთით ოთხმოცდამეათე ვერსის ფრონტთავის მზვერავ ცხენოსანთა რაზმის წინწაწევას, მდ. სანის მახლობლათ, ავსტრიელები ხელს უწყობდენ ქვეითა ჯარის კაცთა და მალის ტყვიისმფრქვეველ-ზარბაზნების მიშველებით. პირველ აგვისტოს, დილით, მტრის ჯარის ამ ნაწილმა მიაღწია ზავიხოსტისა, ზაკლინოვისა, იანოვისა და ტარნოგრადის გაყოლებას. ამგვარად მტერმა კარგა დიდი მანძილი გამოიარა. სამს აგვისტოს, საღამოთი, მტრის ასეთი მსვლელობა შეაჩერეს ჩვენმა ჯარებმა. ავსტრიელების ცდა ქალაქ კელცის აღებისა უნაყოფო გამოდგა. ორ აგვისტოს ჩვენ ცხენოსანთა ყოჩაღ მოქმედების მეოხებით მტერი განდევნილ იქნა კელციდან, და ქალაქი ჩვენებმა დაიჭირეს. ტომაშოვის რაიონში ჩვენი ჯარის მამაცურ იერიშის გამო მტრის დამცველი რაზმები უკუქცეულ იქნენ. ჩვენები შეიჭრენ გალიციის საზღვრებში, გაიარეს ათი-თორმეტი ვერსი ტომაშოვ-რავარუსკისკენ და რამდენიმე ბრძოლით მტერს დიდი ზარალი მიაყენეს.

ერთ ამ მამაცურ ბრძოლის დროს სოფ. ნაროლთან ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა სულ მთლათ აჩეხა ავსტრიის დრაგუნთა მეთერთმეტე ესკადრონი. ფრონტის დანარჩენ ადგილებში გარემოება არ შეცვლილა. ჩვენი ცხენოსანთა ჯარი მტრის პირდაპირ სდგას და მტერს გასაქანს არ აძლევს.

ბერნი. გერმანიის იმპერატორი თავის შტაბთან ერთად ბერლინიდან ქ. მაინცს გაემგზავრა.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფს“ მალტიდან დეპეშით ატყობინებენ:

როდესაც გერმანიის გემები „გებენი“ და „ბრესლავუ“ იტალიის ზღვაში იყვენ, ინგლისის ფლოტი საფრანგეთის აფრიკიდან ჯარის გადმოყვანას შველოდა. როცა ეს საქმე შესრულდა და გაიგო, რომ გერმანიის ხომალდები სიროსთან იმყოფებიანო, ინგლისელები გაეშურენ ამ გემების შესაპყრობათ. გემებმა თავი ციკლადის კუნძულებს შეაფარეს. უმავთულო დეპეშის მეოხებით ინგლისელებმა შეიტყვეს, სადაც იდგენ ეს გემები და კვლავ მიაშურეს, მაგრამ გერმანიის გემებმა დარდანელისკენ გასწიეს და ამგვარად თავი დაახწიეს ინგლისელებთან შებრძოლებას.

ლონდონი. ბრიუსელიდან ოფიციალურათ იუწყებიან, რომ ბრძოლის ველზე ცვლილება არ მომხდარა. გერმანიის დიდი ჯარები აღარა ჩანან.

პარიზი. გერმანიის ძლიერმა ჯარმა იერიში მიიტანა დინანზე. საფრანგეთის კავალერიამ მათი იერიში მოიგერია. გერმანელებმა უკან დაიხიეს და საზღვრებთან გამაგრდენ. ზემო ელზაში ფრანგების მდგომარეობა ჩინებულია, მათ უჭირავთ ძლიერი პოზიციები ვოგეზის მთების ძირში.

ბრიუსელი. საფრანგეთის საელჩო ამოწმებს, რომ საფრანგეთმა დინანთან ბრწყინვალეთ გაიმარჯვა. საფრანგეთის არტილერიამ გაანადგურა გერმანიის ჯარი.

ფრანგებს ახლა მდინარის ორივე კიდეები უჭირავს.

პარიზი. სამხედრო სამინისტრო იუწყება, რომ მთელ ფრონტზე რეშიკურიდან დაწყებული ხენმარიოლინამდე საფრანგეთის ჯარი წინ მიიწევს. საფრანგეთის ჯარმა სენტბლეზს მიაღწია. იმ ჯარმა, რომელმაც დინანი აიღო, სწრაფათ დაიკავა შირმეკის ხეობაც. ტყვეთ წაიყვანეს 1000 გერმანელი, გარდა იმ 500 გერმანელისა, რომელიც გუშინწინ დაატყვევეს. მტერმა ბრძოლის ველზე დასტოვა რამდენიმე დიდი და საველე ზარბაზანი და ტყვია-წამლის ყუთები. ბლამონ—სირეს ოლქში ჯარმა მიაღწია ლორქსეს ქედამდე და გერმანელებს წაართვა ცხრამეტი ურემი და რამდენიმე ავტომობილი.

პეტერბურგი. მათი იმპერატორობითი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი ალექსი ნიკოლოზის ძე და უავგუსტოესი ქალები ხელმწიფე იმპერატორისა 4 აგვისტოს მოსკოვში მობრძანდენ. ხელს აწერს გენერალ-ადიუტანტი ფრედერიქსი.

4 აგვისტო.

პეტერბურგი. იმ უქვეშევრდომილეს თხოვნაზე, რომელიც მიართვა ხელმწიფე იმპერატორს მოსკოვის ეპარქიის პირველმა ქორ-ეპისკოპოსმა დიმიტროვისამ ტრიფონმა და რომლითაც სთხოვდა: ნება მიბოძეთ მომქმედ ჯარში წავიდე, როგორც მღვდელ-მსახური და სამსახურიდან დამითხოვეთო, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უმოწყალესათ დააწერა: „თანახმა ვარ დაინიშნოს კიევის სამხედრო ოლქის ჯარებში სამსახურიდან გადაუყენებლათ“.

მიწადმომწყობ სამინისტროს მთავარმა გამგებელმა მოაწყო განსაკუთრებული დროებითი კომიტეტები ამ უწყებიდან ჯარში წაყვანილთა ოჯახების დასახმარებლათ. მთავარი კომიტეტი იმყოფება პეტერბურგში, ადგილობრივნი კი თვითეულ გუბერნიაში და პოლკში.

4 აგვისტოს მინისტრთა საბჭომ მთელი თავისი შემადგენლობით და სტატ-სეკრეტარის გორემიკინის მეთაურობით მოსკოვს გაემგზავრა. ამავე მატარებელით მოსკოვსავე გაემგზავრენ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელი—სტატ-სეკრეტარი გოლუბევი, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო, ელჩები: საფრანგეთისა პალეოლოგი და ინგლისისა სერ-ბიუკენი.

გამოცხადდა უმაღლესი ბძანება მისი უმაღლესობის პრინცის მიხეილ გიორგის ძის მეკლენბურგელის რუსეთის ქვეშევრდომათ მიღების შესახებ.

პარიზი. დონონის რაიონში საფრანგეთის ჯარი განაგრძობს წინ-სვლას. მალე დაიჭირეს შირმეკს, საალიდან 12 კილომეტრის მანძილზე მდებარეს. მტერს

ღრმათ დამწუხრებული სამსონი, კასიანე, კატო, გიორგი, მიხაკო, პეტრე
დიასამიძეები: პირველი ძმის, მეორე მაზლის ხოლო მესამე საყვარელი ბიძის

ნესტორ მიხეილის ძის დიასამიძის

გარდაცვალებას ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ, რომლის დაკრძალვაც
დანიშნულია ხუთშაბათს, 7 მარიამობისთვეს, ნაშუადღევის ოთხ საათზე.
გამოსვენება მოხდება საკ. სახლიდან საფიჩხიის ეკლესიაზე.

წაართვეს 12 საველე ზარბაზანი, 12 ზარბაზნის გასატენი ყუთი და 8 ტყვიის მფრქვეველი. საფრანგეთის კავალერია მივიდა მიულბახ-ლიუცელ-გაუზენამდე. სამხრეთით საფრანგეთის ჯარმა დაიჭირა ქალაქი ურგუა. ფრანგები დგანან ტანსერნიე — დანმარის გასწვრივ. ის დროშა, რომელიც ფრანგებმა წაართვეს გერმანელების ჯარს, გადაეცა სამხედრო მინისტრს ინვალიდთა სახლში შესანახად. დროშა ეკუთნოდა გერმანიის ქვეითა ჯარის 132 პოლკს. ეს დროშა წაართვა ეგერთა მეათე პოლკმა. გერმანელები უკან იხევენ და გზა-გზა ბარბაროსულათ იქცევიან. მათ უმიზნოთ მოკლეს ახალგაზდა ქალი და 70 წლის მოხუცი.

ვარშავა. პოლონეთის ერის პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ ჯგუფების თავმჯდომარეებმა უმაღლეს მთავარ სარდალს დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს: ,,თქვენო იმპერატორებითი უმაღლესობავ! თქვენმა იმპერატორობითი უმაღლესობის მოწოდებამ იმის შესახებ, რომ რუსეთმა აღიმაღლა მახვილი თვის დასაცველათ სლავიანებისა და აგრეთვე იმ განცხადებამ, რომ რუსეთის ძლევა მოსილი მხედრობა იბრძვის ჩვენის ეროვნულ წმინდა საქმისათვის, რათა განახლდეს მთლიანი პოლონეთი და შემოიკრიბოს მან თავისი მიწა-წყალი ხელმწიფე იმპერატორის სკიპტრის ქვეშ, დიდათ გაგვახარა, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი წარმომადგენელნი პოლონეთის ერის პოლიტიკურ პარტიებისა და საზოგადოებრივ ჯგუფებისა, ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთის შვილებთან ერთათ, საერთო მტერთან ბრძოლაში დაღვრილი სისხლი პოლონეთის შვილებისა თავდების იქნება ორ სლავიანურ ხალხის ახალის მშვიდობიანისა და ერთსულოვან ცხოვრებისა. იმ ისტორიულ დღეს, როდესაც გამოიცა პოლონეთის ერისათვის ეს ღირს შესანიშნავი მოწოდება, ჩვენ გულ-მხურვალეთ ვუსურვებთ რუსის ჯარს გამარჯვებას, იმ ჯარს, რომელიც იმყოფება თქვენის იმპერატორობითი უმაღლესობის უავგუსტოეს გამგეობის ქვეშ. მოიმედენი ბრძოლის ველზე სრულის გამარჯვებისა გთხოვთ, თქვენო იმპერატორებითი უმაღლესობავ, ჩვენი უქვეშევრდომილესი გრძნობანი განართხოთ ფეხთ წინაშე მისის იმპერატორებითი უდიდებულესობისა.

პეტერბურგი. რადგანაც ამ ჟამათ ქვეყანა არა ჩვეულებრივ გარემოებაშია, შინაგან საქმეთა მინისტრმა წინადადება მისცა გუბერნატორებს, მოიწვიოს საზოგადოებებისა და ქალაქის სამართველოები — მიიღონ მონაწილეობა ჯარში გაწვეულთა ოჯახების დახმარების საქმეში, იზრუნონ მცხოვრებთათვის პირველ საჭიროების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ საგნების შეძენისათვის, ქალაქის სანიტარულ მოწყობისა და იმ ხარჯების შემცირებისათვის, რომელთა დაკმაყოფილება იმის გათავების შემდეგაც შეიძლება.

საავენტოს მრავალი ცნობა მოსდის სხვადასხვა ქალაქებში ჯარში გაწვეულთა ოჯახების დამხმარე ორგანიზაციების დაარსების შესახებ. სხვათა შორის

ქ. მოსკოვში აზნაურმა ზუბალაშვილმა ქალაქის გამგეობას გადასცა: 450,000 მანათი ფულათ, სახლი და მამული საავათმყოფოების ასაგებათ.

ელაგუბის ქალაქის საბჭომ გადასდო თანხა დამხმარე კომიტეტის დასაარსებლათ.

მელიტოპოლში ებრაელთა საზოგადოებამ მოაწყო 50 საწოლი ომში დაჭრილთა და ავადმყოფთათვის.

მინსკში ებრაელებმა მოაწყვეს 32 საწოლი დაჭრილთათვის განურჩევლათ სარწმუნოებისა.

ბესარაბიის ერობამ გადასდო 40 ათასი მანათი, ტვერის მონასტერმა — 40,000, ჩერნიგორის საგუბერნიო ერობამ - 200,0000.

მოსკოვი. სატახტო ქალაქი დიდებულათ დაუხვდა მეფის ოჯახობას. ბაირაღებით, გერბებითა, შტანდარტებითა, ყვავილებითა და მწვანეთ მორთულ ალექსანდროვის რკ. გზის სადგურის ბაქანზე ნაშვადღევის 2 საათზე მოგროვდნენ მოსკოვში მყოფნი სტატ-დამები, ხელმწიფე იმპერატრიცას ფრეილინები, ჩინოსანი დამები, საპატიო მზრუნველები მოსკოვის საკრებულოსი, სასახლის მოხელენი, სასახლის კარის-კაცნი, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ჯუნკოვსკი, მოსკოვის მთავარმართებელი, სამოსამართლო და საადმინისტრაციო დაწესებულებათა უფროსები, გუბერნიისა და მაზრის წინამძღოლები, თავჯდომარე და წევრები მოსკოვის საგუბერნიო საერობო მართველობისა, მოსკოვის გუბერნიის საერობო გამგეობის თავმჯდომარენი, მოსკოვის ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელი, ხმოსნები ქალაქის საბჭოსი და ქალაქის საპატიო ქალები. 2 საათსა და 15 წუთს სადგურზე მობძანდა დიდი მთავრინა **ელისაბედ თეოდორას ასული.** ბაქანზედ იმყოფებოდენ წევრნი მისის უდიდებულესობის ამალისა, საპატიო მზრუნველები და უმაღლესი სამხედრო მოხელენი. სრულ 2 საათსა და 30 წუთზე საიმპერატორო მატარებელი, რომელსაც ათი-ათასობით შეკრებილი ხალხი აღტაცებული „ვაშას'' ძახილით შეხვდა, სადგურთან გაჩერდა. ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატორიცა, მემკვიდრე და უავგუსტოესი. ქალები სალონ ვაგონიდან გადმობძანდენ.

ხელმწიფე იმპერატორი მიესალმა დიდ მთავრინას, ელისაბედ თეოდორას ასულს, და შემდეგ, მიიღო-რა რაპორტი მოსკოვის მთავარ მართებელისა, მათმა უდიდებულესობამ კეთილ ინება და ალექსანდროვის სამხედრო სასწავლებელის საპატიო ყარაულს ჩამოუარა. მუსიკა უკრავდა მარშს. მიესალმა-რა საპატიო ყარაულს, ხელმწიფემ, ხელმწიფე იმპერატრიცამ და მათმა უავგუსტოესმა შვილებმა გასწიეს იმ ჯგუფისაკენ, რომელიც შესდგებოდა უმაღლეს მოხელეთაგან. ორკესტმა დაუკრა საერო ჰიმნი.

◆

უკანასკნელი ცნობები.

პეტერბურგი.

„ნოვოე ვრემია" გადმოგვცემს, რომ რუსეთის დიპლომატიამ პროტესტი განაცხადა ოსმალების მიერ გერმანელ კრეისერების ყიდვის გამო. ამას ის მოჰყვა, რომ ოსმალეთის საელჩოს გამგე პეტერბურგში ფერედინ-ბეი საზონოვთან იყო და განუცხადა, —ოსმალეთი ნეიტრალიტეტს დაიცავსო.

კიევი.

მოვიდა პირველი ჯგუფი ავსტრიელ დაჭრილ ტყვე სალდათებისა.

კოპენჰაგენი.

ფურნიეს სააგენტო იტყობინება, რომ ქალაქ აახენში გერმანიის კრონპრინცის მოკვლის განზრახვა იყო.

პეტერბურგი.

დიპლომატიურმა წრეებმა ნამდვილი ცნობა მიიღეს, რომ ამ დღეებში იაპონია გერმანიას ომს გამოუცხადებს.

ვარშავა.

კალიშიდან გამოქცეულები მოუთხრობენ საზარელ ამბებს, გერმანელებისაგან ჩადენილს, დახვრეტილ სოკოლოვის გვამი მთელი დღე ეგდო ქუჩაში, ქვრივს ნება არ მისცეს გვამის წასვენებისა. ადგილობრივმა მცხოვრებმა ნახევარ მილიონის ჩეკი მისცა თავის გამოსასყიდათ და 20000 ნაღდათ, მიუხედავათ ამისა, პრუსიელებმა მაინც დაატყვევეს და გზაში შიშისაგან გარდაიცვალა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი და ოსმალეთი.

ინგლისის ელჩმა განუცხადა ბრწყინვალე პორტს, რომ ომის დაწყების პირველ სურვილისთანავე ოსმალეთი მოსპობილ იქმნება:

გერმანიის კრონპრინცი.

,,ფიგაროს'' თანამშრომელი ამბობს, რომ თვით იმპერატორი ვილჰელმი წინააღმდეგი იყო ომისა. ომის მომხრენი იყვნენ მისი ექვსი შვილი და უმეტესად კრონპრინცი, რომელიც დაუყონებლივ მოითხოვდა ომს რუსეთთან. მემკიდრემ ისარგებლა იმ გარემოებით, რომ იმპერატორი ვილჰელმი წყლებზედ იყო წასული, და გასცა ბრძანება ომის გამოცხადებისა. დაბრუნებულ იმპერატორს ისღა დარჩა, რომ დაედასტურებინა ომი.

ჯავშნიანი გემი „ოსმანლიე"

ინგლისმა რომ ოსმალეთის გემი ,,ოსმანლიე" დაატუსაღა, ამ ამბავმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიაზე. ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ გერმანიამ ორი კრეისერი მიჰყიდა ოსმალეთს.

კრეისერები „გებენი" და „ბრესლაუ".

საფრანგეთმა, ინგლისმა და რუსეთმა მოსთხოვეს ოსმალეთს, რომ დაარღვიოს ხელშეკრულობა გერმანიისგან ,,გებენისა'' და ,,ბრესლაუს'' შეძენის შესახებ. ოსმალეთმა უპასუხა, რომ ხსენებული გემები ოსმალეთის დროშის ქვეშ დარჩებიან, ხოლო მეზღვაურებს დააბრუნებს გერმანიაში.

ავსტრია და რუმინია.

ავსტრიის იმპერატორმა წინადადება მისცა რუმინიის მეფეს, შეუერთდეს სამთა კავშირს და დაჰპირდა ბესარაბიას. მეფემ უპასუხა: რუმინიის ხალხი ნეიტრალიტეტს მოითხოვსო.

ცრუ ხმა.

ინგლისის თემთა პალატაში დეპუტატმა მაკ-კენნამ განაცხადა, რომ ტყუილია ის ხმა, ვითომც ჰოლანდიის ნაპირებთან გერმანიის 13 სამხედრო გემი დაღუპულიყოს.

ბანკეტი პეტერბურგში.

25 ივლისს პეტერბურგში გაიმართა მრავალრიცხოვანი ბანკეტი, რომელსაც დაესწრენ სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენელნი. ბევრი სიტყვა წარმოითქვა, რწმენითა და იმედით გამსჭვალული. სხვათა შორის პ. სტრუვემ, შემდეგის სიტყვებით მიმართა-რა საზოგადოებას, აღნიშნა ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც აწევს საზოგადოებრივ აზრის წარმომადგენლებს დღევანდელს მაღალმნიშვნელოვან დღეს; საზოგადოება არც გამარჯვებამ უნდა დააბრმავოს ძალზე და არც დამარცხებამ დასცეს სულიერად. ორატორმა გააფრთხილა საზოგადოება, მაინცა და მაინც დიდს იმედებს ნუ დაამყარებთ მოკავშირეთა დახმარებაზე. სერბებსა თუ პოლონელებს შეუძლიათ აპელაციის შემოტანა რუსის ხალხთან. ხოლო რუსეთი კი ვერავის მიჰმართავს აპელაციით. რუსეთმა თვითონ, საკუთარის ძალღონით უნდა გადასწყვიტოს ის დიდი ისტორიული საკითხი რომელიც ცხოვრებამ დაუყენა დღეს.

◆

მოწოდება.

უმაღლეს მთავარ-სარდლისა პოლონელებისადმი.

„პოლონელნო"! დარა საათმა, როდესაც თქვენ მამაპაპათა გულითადი ოცნება შეიძლება განხორციელდეს. ნახევარ საუკუნის წინ პოლონეთის ცოცხალი სხეული ნაწილ-ნაწილ დაგლიჯეს, მაგრამ მისი სული არ მომკვდარა. ის ... დგმულობდა იმედით, რომ დადგება ... ათი პოლონეთის ერის აღდგენისა და დიდებულ რუსეთთან ძმურის შერიგებისა. დღე წარიხოცოს მიჯნები, რომლიც პოლონეთის ერს აქუცმაცებს, დღე ის ცეს იგი ერთ მთლიან ერად რუსეთის მეფის სკიპტრის ქვეშ! ამ სკიპტრის ქვეშ აღორძინდება პოლონეთი, თავისუფალი თავისს სარწმუნოებაში, ენაში და თვითმართველობაში. ერთს რასმეს მოელის თქვენგან რუსეთი — ასეთსავე პატივისცემას თქვენი მხრივ იმ ეროვნებათა უფლებისადმი, რომელებთანაც ისტორიამ დაგაკავშირათ. გულახდილად და ძმურად ხელგაშოწვდილი თქვენსკენ მოიწევს დიდებული რუსეთი. მას სჯერა, რომ გრიუნვალდში მტრის განმგმირავი მახვილს ჟანგი არ მოსდებია. წყნარ ოკეანეს ნაპირებიდან ჩრდილო ზღვების კიდეებამდე იძვრის რუსეთის ლაშქარი. ახალ ცხოვრების ცისკარი ამოდის თქვენთვის!.. გამობრწყინდეს ამ განთიადზე სახება ჯვარისაც, ეს სიმბოლო ერთ ტანჯვისა და აღდგომისა!".

უმაღლესი მთავარსარდალი, გენერალ-ადიუტანტი ნიკოლოზი. 1/14 აგვისტო 1914 წ.

◆

ომი და ქართველი თავად-აზნაურობა.

კვირას, 3 აგვისტოს, თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება მოხდა. კრების დაწყებამდე გადახდილ იქნა პარაკლისი, რათა ძლევა მიენიჭოს რუსეთის მხედრობას. ამის შემდეგ სამჯერ იგალობეს „ღმერთო, ფარავდე მეფეს"! კრების დარბაზი საგანგებოდ იყო მორთული ყვავილებითა და ბაირაღებით. კრება დაიწყო შუადღის 12 საათზე თავად-აზნაურთა წინამძღოლის თ-დ გ. ნ. აფხაზის თავმჯდომარეობით, რომელმაც დამსწრეთ სიტყვით მიმართა.

შემდეგ მარშალმა წაიკითხა ხელმწიფის დეპეშა, რომელიც პასუხია თავად-აზნაურთა წინამძღოლის მიერ გაგზავნილ დეპეშისა. სიონის საკათედრო ტაძარში პარაკლისის გადახდის შემდეგ. მარშალმა აგრეთვე მოახსენა კრებას, რომ მოსკოვში დაარსდა სრულიად რუსეთის თავად-აზნაურთა წარმომადგენლების კავშირი ომის საჭიროებათათვის ნივთიერ ღონისძიებათა გამოსანახად. ამ კავშირში მიწვეული ყოფილა თფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წარმომადგენელი, მაგრამ უდროობის გამო აღარ წასულა, მარშალი დეპეშა კი გაუგზავნია და პასუხიც მოსვლია მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის სამარინისგან. კრებაზე დროის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე თ-დმა გ. ი. ამირეჯიბმა, რომელმაც ის აზრი გაატარა, რომ როდესაც ქვეყანას გარეშე მტერი მოადგება, შინაურ უთანხმოებას ბოლო უნდა მოეღოს. დასასრულ კრებამ

ეჭვის მსხვერპლი.

(დასასრული იხილეთ № 122).

V.

შუაღამე გადასული იყო...

დარიკოს ოთახში არა ჩვეულებრივი საუბარი ისმოდა: იგი გულმოსულათ უსაყვედურებდა სალომეს...

— ღმერთო კი მომკალი! როგორ? შვილის ღალატში შედიხარ და ისიც... ღმერთო ჩემო! შეჰქვითინებდა დარიკო სალომეს თვალ-ცრემლიანი.

— შვილო, ეს სიბრიყვეა... თუ ფიქრობ, რომ ამით ქვეყანა დაიქცევა... 500 მან. ღამის გასათევი მე... —1000 მ. „დროს გასატარებელი"—შენ... ამით შვილს არაუჭირს-რა და ჩვენ კი... ეუბნებოდა სალომე დარიკოს.

საშინელ სურათს წარმოადგენდა ამ დროს სალომე. ამ წუთში იგი ეშმაკს უფრო წააგავდა, ვიდრე ადამიანს. და მიუხედავათ მისი გულქვაობისა, იგი მაინც გრძნობდა მთელს — თუ შეიძლება ასე ვსთქვათ — **სიმძიმეს** თავისი სიტყვებისას მის სინიდისს ქეჯნიდა კიდეც სრულიად ახალი რამ გრძნობა: ყოველ სიბინძურეს შვილისადმი ღალატიც ზედ დაერთო!.. მისი ისედაც დამჭკნარი სახე წითელ ზოლებით შემოხაზულ თვალებითურთ ჯოჯოხეთის ტანტაროზს მოგაგონებდათ თქვენ. ამ წამში დარიკო მის ხელში, მართლაც, იგივე იყო, რაც უმანკო ანგელოზი დემონის კლანჭებში.

სალომე კანკალობდა...

მაგრამ ანგარებით შეპყრობილმა სალომემ დაიხშო ყოველივე მხილება სინიდისისა.

დარიკო რაღაც შიშმა აიტანა ჯერ: მან იგრძნო მარტოობა, მაგრამ მარტოობა ჯოჯოხეთური... იგი ამ წამში აღმოჩნდა სრულიად უმწეო... მან ჯერ ერთი მწარეთ ამოიკვნესა და... გაახსენდა ვასიკო.

— ჰო, მართლა, ვასო საცაა მოვა-ჩემი ვასო, და რა მიჭირს...—გაუელვა მას ამ აზრმა თავში. უცებ იგი გამხნევდა, რაღაც ძალა იგრძნო, არა ჩვეულებრივი ძალა... გაღონიერდა! მოიკრიბა უკანასკნელი ძალა, ჩააფრინდა ბებერ სალომეს მაგრათ თმაში და გარეთ გააგდო. თვითონ კი მაგრათ კარი ჩაიკეტა და მიწვა...

სალომემ დემონისებურათ გადიხარხარა: ს იცილი ატანა ვითომ! ნამდვილათ კი პირველად გამოსცადა მან ასეთი მწარე გაკვეთილი! იგი წამოდგა და მახლობელ ქვაზე ჩამოჯდა.

საქმე „უკიდურესობაზე" მიადგა, და კიდევაც დაადგა გადაჭრით ახალ გზას...

სტუმარს გვიანობამდის არ დასძინებია: იგი ყოველ წუთში მელოდა დარიკოს... მან 1,000 მანეთი შეაძლია სალომეს, რათა ამ უკანასკნელს მისთვის რძალი მიეგვარებია „დროს გასატარებლათ".

— ჰაი-გიდი! როგორ მალე დამთანხმდა ეს „ბებერი": შვილსაც ღალატობს და რძალსაც!—ფიქრობდა იგი. ამ დროს სტუმარი ფილოსოფოსს მოგაგონებდათ სწორეთ, რომელიც სხვისი გაჭირვებით უფრო ღელდება, ვიდრე საკუთარით. მას აღელვება ეტყობოდა! იგი მიეცა უცნაურ ფიქრებს—უცნაურს, გიმეორებ, რადგანაც მისი მოლოდინი არ გავდა ჩვეულებრივ მოლოდინს; იმას კარგათ ესმოდა რძალ-დედამთილის საუბარი და... „შეებრალა" დარიკო! ასეა თუ ისე, სტუმარი მაინც დარიკოს ელოდა და ამ მოლოდინში კიდევაც ჩასძინებოდა.

სალომე წამოდგა...

მან ჯერ გაიხედ-გამოიხედა, ნახა, რომ ირგვლივ ბნელოდა და საშინელი მყუდროება მეფობდა. სტუმრის ოთახში ჭრაქი ოდნავ ბჟუტავდა. სალომემ ფანჯარაში შეიხედა და ნახა, რომ სტუმარს ეძინა. ჩუმათ კარები გააღო, სტუმარს მიეპარა და... ნაჯახით თავი გაუპო.

სალომემ სტუმარი წუთი სოფელს გამოასალმა!

VI.

გათენდა...

ჩიტუნის მხიარულმა ჭუკჭუკმა დარიკოც გამოაღვიძა. - მან არაფერი არ იცოდა, თუ წუხელი მის გვერდით რა მოხდა: იგი ისე იყო ღრმათ გატაცებული თავისი მწარე ფიქრებით, რომ გეგონებოდათ, უგრძნობლათ გდია სარეცელზედო. და აკი ჩასძინებოდა მწარე ფიქრებში.—

დარიკომ გამოიღვიძა...

იგი ასდგა, მაგრამ გარეთ გამოსვლას ჯერ კიდე ვერ ბედავდა. ჩამოიღო მან კედლიდან ქმრის სურათი, აკოცა და გულზე მიიხუტა. იგი ამ დროს თვალებიდან ცხარე ცრემლებსა ჰყრიდა, ქვითინებდა. უცებ ფანჯარაში გაიხედა და თვალი მოჰკრა ვიღაც ყმაწვილს, რომელიც ღიმილით მის ოთახისაკენ მიდიოდა. დარიკო ჯერ შეკრთა ჩვეულებისამებრ, მაგრამ შემდეგ იცნო ყმაწვილი და მიაძახა:

—კოწია, კოწია! შენა?!... და კოწიას, ვასოს ამხანაგს, ყელზე მოეხვია...

კოწიაც მიესალმა, რასაკვირველია.

მაგრამ ძლიერ გაკვირდა იგი, როცა შენიშნა, რომ დარიკო სიხარულის ნაცვლად ტიროდა.

—სიხარულმა ცრემლები იცისო კი გამიგონია,—ჩაილუღლუღა კოწიამ,— მაგრამ ტირილი თუ იცოდა, არ ვიცოდი!

—სად არის ვასიკო, ჩემი ვასიკო? ეკითხებოდა მოუთმენლად დარიკო.

—როგორ თუ სად არი?! გაიკვირვა თავის მხრივ კოწიამაც—განა ჩვენ ერთად არ მოვედით?!..

...აღარ გავაგრძელებ:

მკითხველი თავისითავად მიხვდება, რომ წუხანდელი უცხო სტუმარი ვასიკო იყო, პარაში გამოწყობილი; მან გამოსცა როგორც თავისი ცოლი, აგრეთვე თავისი დედაც, და ამ ცდას თავისი თავი შესწირა!

სალომემ არ იცოდა, რასაკვირველია, თუ სტუმარი ვასიკო იყო, და რომ ... ლებს დაპატრონებოდა, იგი სასიკვდილოდ გაიმეტა.—

P. S. დღესაც შეხვდებით თქვენ სოფელ ,,შავდიბის''-ში დანგრეულ ... ხის ნაშთებს: იგი სოფლელებმა დასწვეს და დღეს მის ნანგრევებში ხვლიკები ბუდობენ.

დღესაც შეხვდებით თქვენ იმ ნანგრევებში მოხეტიალე ბებერ ქალს, რომელსაც ბავშვები უკან დასდევენ ქვებით და თან მისძახიან: ,,შვილის მკვლელო სალომე!''—სალომე ჭკუაზე შეცდა!

საბრალო დარიკო კი კოწიას მიჰ თხოვდა, მასთან ერთად თბილისში გადასახლდა და თან ორი ქალ-ვაჟიც იძინა:—

დარიკო სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო.

სვგ. მუხურაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომარემ წარუდგინა მოხსენება, რომელშიაც წინადადება მისცა: 1) ვადასოს 25,000 მ. ომის საჭიროებისათვის, 2) ამ ფულიდან 10,000 მან. გაეგზავნოს მოსკოვში დაარსებულ თავად-აზნაურთა კავშირს, 3) 15,000 მ. გადაეცეს იმ კომიტეტს, რომელიც თფილისში დაარსდება მოკლე ხანში და რომელშიაც შევლენ: თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, დეპუტატები და საზოგადო კრების მიერ არჩეული თავად-აზნაურნი, და 4) არჩეულ იქნას საგანგებო დეპუტაცია, რომელიც თავად-აზნაურთა კრების ამ დადგენილებას მეფის მოადგილეს მოახსენებს. კრებამ ეს წინადადება ერთხმად მიიღო და აირჩია დეპუტაცია, რომელშიაც შედიან: თ-დი დ. ა. სუმბათაშვილი, თ-დი ნ. რ. ერისთავი, თ-დი ი. გ. მაყაშვილი, გ. ა. ყარანგოზოვი, თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი, ზ. დ. გაბაშვილი, თ-დი ი. ი. ანდრონიკაშვილი და მ. რ. ჭავჭავაძე. თავად-აზნაურთა კომიტეტის წევრებად აირჩიეს: თ-დი გ. ი. ამირეჯიბი, ვ. რ. ყიფიანი, თ-დი ლ. ნ. დიასამიძე, თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი, კ. ი. თულაშვილი, ვ. დ. გაბაშვილი, თ-დი ნ. რ. ერისთავი, თ-დი გ. ი. ამილახვარი, თ-დი ა. ზ. ჭავჭავაძე, ნ. ი. არჯევანიძე, თ-დი ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი, ნ. ზ. ზუბალაშვილი, ნადირ-ბეკ ედიგაროვი, თ-დი ი. რ. მაყაშვილი, თ-დი პ. ი. თუმანიშვილი, თ-დი დ. ა. სუმბათაშვილი, ვ. ა. სარაჯიშვილი, ნ. ა. მდივანი და ი. პ. ისარლიშვილი.

თავ. კ. აფხაზის სიტყვა.

მღელვარე გრძნობით ვხსნი დღევანდელ საგანგებო კრებას. მიმდინარე უდიდესი ამბები ჩვენს მთლიან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ. ბატონნო თავადნო და აზნაურნო, საუკუნოებით განათლებულმა დიდმა სახელმწიფომ დამნაშავეთ გამოაცხადა პატარა და მოკრძალებული სერბიის სამეფო ბოროტ მოქმედებაში, რომელიც კერძო პირებმა ჩაიდინეს, და მრისხანედ მოითხოვა დაკმაყოფილება იმ სახით, რომელიც შეურაცხყოფდა ეროვნულ წმიდათა-წმიდას, და როდესაც რუსეთმა, რომელმაც სიცოცხლე და არსებობა მისცა სერბიას, დედობრიულის გრძნობით აღიმაღლა ხმა, გამოირკვა, რომ პასუხი ულტიმატუმის დამყენებლისა აღსავსე იყო ძველის, როგორც სამყარო, ბოროტის ინსტიქტით. გამოჩნდა, რომ სერბია დამნაშავე იყო მარტო მიტომ, რომ ავსტრიას მისი შეჭმა სურდა.

და ამ „მაღალ" გერმანელ მორალის დასაცავათ აღსდგა უფრო ამაყი თავის მატერიალურ და სულიერ კულტურით და უმეტესად ძლიერი ძველი ტევტონთა სახელმწიფო და, ვანუცხადა — რა უცბათ ომი რუსეთს, სწრაფათ და მოურიდებლად შეესია პატარა სახელმწიფოებს, ლიუქსემბურგს და ბელგიას, გაიარა ცეცხლით მთელი ქვეყნები და, ამხობს — რა ქალაქებს და აჩერებს უდანაშაულო სახელმწიფოთა მილიონ ქვეშევრდომების ცხოვრებას, უფრო წინ მიდის, რომ თავს დაეცეს მშვენიერ საფრანგეთს. ფილოსოფოსებისა და მეცნიერების ქვეყანა მეოცე საუკუნეში იმეორებს საქციელს მეექვსე საუკუნის გერმანელებისას. ასეთ პირობათა განცდის დროს ძალაუნებურად გვეღვზნება გული და გვიფხიზლდება აზრი. გამოდის, რომ გერმანული ცივილიზაცია ჩანთქმით ემუქრება პატარა სახელმწიფოებს და მონობას უქადის მთელ მატერიალურ ქვეყანას, გამოდის, რომ ძველი ტევტონი უკანასკნელ ფხიზლის მსგავსებამდი კვლავ აღსდგა თანამედროვე პრუსიელში. ამიტომ გასაგებია ის მრისხანე მღელვარება, გამოწვეული ჩვენი მტრების საქციელით და, ის უსამზღვრო მოსევა თავდაცვის გრძნობათა, რომელიც ნაპირებამდი ავსებს რუსეთის გულს; ჩვენ, თანამედროვეთ, ბედმა პასუხისმგებლობა დაგვაკისრა მომავლისა, ძლიერებისა და ჩვენ სახელმწიფოს სიდიადის წინაშე.

წმიდა ბრძოლა სამშობლოს არსებობისათვის უმაღლეს ვალდებულებას შეადგენს ყოველ ჩვენგანისთვის, და რუსეთიც მარტო არ არის. ჩვენთან და ჩვენი მტრების წინააღმდეგ არიან უკულტურესი, უკაცთმოყვარესი და უძლიერესი სახელმწიფონი ქვეყნისა- საფრანგეთი და ინგლისი.

მათთან კავშირის წინაშე მტერი სიკვდილს ვერ გადარჩება. მტრებს მშვიდობა არ სურდათ, დეე, მაშ, დაილაპარაკოს ძლიერმა და ნამდვილმა სრულიად რუსეთის ძალამ.

ქართველი თავად-აზნაურობა და ქართველი ხალხი ათას წლობით იცავდა სამშობლოს და ეხლაც ღირსეულად ზიდავს თავის ვალდებულებს სრულიად რუსეთის თვითმპყრობელის და დიდ სამშობლოს წინაშე.

მე ვიმეორებ ძველ ჭეშმარიტებას, რომ არც ერთი მეომარი არ დაბრუნდება სამშობლოში ცოცხლათ, ვიდრე სიმამაცით არ შემოსავს თავის იარაღს, და სასტიკ ქარიშხლის შემდეგ ჩვენ ვიხილავთ რუსეთის სამეფოს ძლევა მოსილს, გაბრწყინვებულს და მხიარულს, გაშუქებულს ძლიერებისა და დიდების შარავანდედით, მრისხანეს და ძლიერს გარეშე და მეფურად სულ-დიდს შინაურ ცხოვრებაში.

თავ. გ. ამირეჯიბის სიტყვა.

ბატონნო, თავადნო და აზნაურნო, ყოველ ოჯახში შესაძლებელია უთანხმოება, რომელსაც აქაური ხასიათი აქვს, მაგრამ იმ წუთს, როცა გარეშე მტერი გვიკაკუნებს კარებს, უთანხმოებას უკვე ადგილი აღარა აქვს

ასეთ განცდის დროს, ჩვენ, ქართველები როგორც მუდამ, ვიბრძვით და მივაქვს ჩვენი მსხვერპლი არა მარტო საყვარელ სამშობლოს ძლიერებისთვის, არამედ იმ წმიდათა-წმიდისათვისაც, რომელიც გვაერთებდა ჩვენ ამ სამშობლოსთან, სარწმუნოებისთვის, მართმადიდებლობისთვის და იმ უკეთეს იდეალებისთვის, რომლებითაც სულდგმულობდენ მამები და პაპები.

ერთგული თავის ძვირფას აღთქმებისა, მთელი საქართველო, როგორც ერთი კაცი ისე შეუდგა მაღალ პატრიოტულ გრძნობას და მზათ არის თავის სიცოცხლით ემსხვერპლოს თავის რუსეთს, გარეშე მტერთან ბრძოლაში.

ნუ დაივიწყებ ნურვინ, რომ ქართველები ჩვეულნი არ არიან მანიფესტაციები მართონ მშვიდ ქალაქის ქუჩებზე ამიტომ ისინი წყნარად მაგრამ ღირსეულად მიდიან იქ, სადაც მათ საკუთარ სისხლით უნდა აღბეჭდონ თავისი ერთგულება სამშობლოსადმი.

გაუწოდოთ ხელი ამ სპეტაკ პატრიოტულ გრძნობას ქართველის ხალხისას და მხოლოდ ბრძოლის ველზედ გავმართოთ მანიფესტაციები ჩვენ რუს თანამოძმეებთან ერთად სადიდებლათ რუსეთის ძლიერებისა და საერთო სამშობლოსი.

ქუთაისი

ახალი ამბავი.

დავით კარიჭაშვილს შუამდგომლობა აღუძრავს თფილისის გუბერნატორთან, გამოსცეს ქ. გორში ყოველ დღიური საპოლიტიკო სალიტერატურო ქართული გაზეთი „ახალი ქართლი".

◆ რედაქციამ მიიღო ჟურნალი „თეატრი და ცხოვრების" მორიგი ნუმერი. ჟურნალი შემდეგი შინაარსის არის: 1) რა გვეძლება დღეს? მეთაური; 2) რას უქადის ხელოვნებას მომავალი. ალ. წერეთლისა; 3) სამშობლოს სურათი. ილია ბახტაძისა; 4) კონსტანტინე მაყაშვილი. ვახ. კოტეტიშვილისა; 5) გახსოვდეს სიკვდილი. მიხ. ბოჭორიშვილისა; 6) ჯამი. შალვა დადიანისა; 7) ქართველ მწერალთა წერილები, ს. მგალობლიშვილისა; 8) შუქურ ვარსკვლავი, მთის ნიავისა; 9) დედინაცვალი, ტრ. რამიშვილისა; 10) მუსიკა, ა—კოსი; 11) წვრილი ამბები; ოპიანობა და სხვა.

◆ როგორც წალვერიდან გვწერენ, ამ დღეებში წალვერში კონცერტები გაუმართავთ მ. კავსაძესა და ძუკუ ლოლუას, ხალხს ლოლუას კონცერტი უფრო მოწონებია.

◆ ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის მზრუნველმა შემდეგი ცნობა მიიღო სამიწადმოქმედო დეპარტამენტისაგან: 1891 წელს 30 დეკემბერს უმაღლესათ დაამტკიცა სახელმწიფო საბჭოს აზრი იმის შესახებ, რომ ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელს, სხვათა შორის, მისცემოდა ყოველ წლიურათ 3,000 დახმარება ქუთაისის სათავად-აზნაურო თანხიდან, მაგრამ, რადგანაც ამ ბოლო წლებში, ეს დახმარება შეჩერებული იყო, ამიტომ დეპარტამენტი, სთხოვს მზრუნველს წინადადება მისცეს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, რომ მან მიიღოს შესაფერი ზომები, რათა ძალაში დარჩეს 1891 წ. 30 დეკემბრის უმაღლესათ დამტკიცებული კანონი და კვლავ განუახლდეს ზემოხსენებულ შკოლას დახმარება და აგრეთვე შევსებულ იქმნას ამ ბოლო წლების დანაკლისიც.

◆ 4 აგვისტოს სანიტარმა ვ. ბეჟანიშვილმა ვაკზალის ქუჩაზე ოქმი შეუდგინა ისხაკ მოშეს ძე ქვუტიაშვილს ვაჭრობის წესრიგის დარღვევისათვის.

◆ თფილისიდან, ქუთაისში გაზეთების წესრიგზე მიღება უკვე დაიწყო, გუშინდელი გაზეთები, გუშინვე მივიღეთ.

◆ პარასკევს 8 აგვისტოს, როგორც ვიცით მზის დაბნელების დღე არის,—ქუთაისში ხალხში დიდი მითქმა-მოთქმა არის.

◆ როგორც პეტ. დეპ. სააგენტო გვატყობინებს მოსკოვის მცხოვრებს აზ. ზუბალაშვილს გადაუცია ქალაქის გამგეობისათვის 450000 მანეთი და ადგილი საავათმყოფოს ასაგებათ.

◆ 1აგვისტოს მაზრის ზედამხედველის თანაშემწემ პლატონ კორზაიამ ოქმი შეუდგინა მეფურნე ხუსეინ ხალილ-ოღლის, პურის ცუდათ გამოცხობისთვის.

◆ ამ დღეებში ქუთაისში ისევ დიდი სიცხეები დაიკავა.

◆ ქუთაისში ძალზე აკრძალულია სანოვაგეზე ფასების მომატება.

თფილისი.

— ტრამვაის მოძრაობა დღემდე წესიერ კალაპოტში ვერ ჩადგა. დღეში მუშაობს მხოლოდ 30—40 ვაგონი, რაიც აიხსნება მოსამსახურეთა სიმცირით. კონდუქტორ-ვატმანებად დადგომის მსურველი ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ ისინი მომეტებულ ნაწილად ღარიბნი არიან და არ შეუძლიათ იმ 70 მან. შეტანა, რომელსაც ტრამვაის დირექცია მათ ბეს სახით სთხოვს.

— კახეთის რკინის გზის მთავარ ინჟენერს ა. რაციბორსკის კახეთის მრავალმა მცხოვრებმა მიმართა თხოვნით, გახსნას ახლავე დროებითი მოძრაობა სამგზავრო მატარებლებისა. როგორც გავიგეთ, ბ-ნ რაციბორსკის საკითხი ჯერ ვერ გადაუწყვეტია და მოძრაობის დაწყებისა ერიდება, რადგანაც სადგურები მოუწყობელია.

— **ქალაქის ლომბარდი.** ქალაქის განაპირა უბნებში გაავრცელეს ხმა, ლომბარდი ვადას აღარ უცდის და დაგირავებულ ნივთებს ყიდისო. ეს ხმა მტკნარი სიცრუეა. დაგირავებულ ნივთების გაყიდვა სწარმოებს წინანდელის წესით.

◆

პასუხად გაზ. „შრომა"-ს.

„შრომის" რედაქციაში მომხდარი ინციდენტი მეტად ცალმხრივადა და დამახინჯებულადაა გადმოცემული (იხ. გაზ. „შრომის" № 23). საქმე ასე იყო:

პირველ აგვისტოს ნაშუადღევს ყმაწვილისგან „ვეჩერნი ტელეგრამა" ვიყიდე. გადავათვალიერე და მეტად გამიკვირდა: ორ უმნიშვნელო დეპეშს გარდა ყველა დილის შვიდ საათზე უკვე მქონდა წაკითხული. გული მეტკინა და ნასადილევს გავსწიე „შრომის" რედაქციისაკენ საყვედურის გამოსაცხადებლად. (მეგულვებოდა ნაცნობი რედაკტორი, უკანასკნელი, სამწუხაროდ, არ დამხვდა). გზაზე ბ. ს. ხუნდაძეც შემხვდა, მასაც საქმე ჰქონდა რედაქტორთან და ორივე მივადექით რედაქციას; შიგ ვნახეთ ერთი უცნობი და ბ. გ. მებუკე. ჩვეულებრივად ტკბილად მივესალმეთ, მაგრამ უცნობმა არამც თუ ზეწამოდგომა (ამას ვინ სთხოვდა!) რიგიანი პასუხიც არ გაგვცა. (ვსთხოვ ბ. სილოვანს დაამოწმოს!) მე დაბალის დაწყნარებული ხმით (ვსთხოვ ბ. გ. მებუკეს შემოწმოს!) მივმართე: რით აიხსნება ეს გაუგებრობა: დილით „იმერეთის" გამოცემული დეპეშები წავიკითხე, ახლა გადავათვალიერე თქვენი „საღამოს" სახელით გამოცემული და არავითარი განსხვავება შიგ არ არის მეთქი". უცნობმა მიპასუხა; „ჩვენ სხვა გაზეთების დეპეშებს არ ვკითხულობთ, გვიან გვეგზავნიან, გვიან ვბეჭდავთ, ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ჩვენი საკუთარი მკითხველი გვყავს, რომელნიც დიდი სიამოვნებით ჰკითხულობს ჩვენს დეპეშასო".

ვუპასუხე: ქუთაისი პატარა ქალაქია, რედაქციებმა ანგარიში უნდა გაუწიოთ ერთმანეთს, თორემ საზოგადოება მოტყუილებული დარჩება, და თუ თქვენი მკითხველები მაინც და მაინც თქვენს დეპეშას ეტანებიან, კეთილინებეთ დაავალოთ დამტარებელთ—ყველას ნუ აწვდიან თქვენს გამოცემას მეთქი.

უცნობი მაინც თავისას არ იშლიდა. მოვახსენე: ეს ხალხის ექსპლოატაციაა, ამას შანტაჟს უწოდებენ: გაიხედეთ გარეთ, რამდენი აცხადებს უკმაყოფილებას თქვენი დღევანდელი დეპეშების გამო, ეს თავად თქვენთვის, რედაქციისათვის, არ ვარგა მეთქი. (კვლავ ვსთხოვ ბ. მებუკეს—სილოვანი უკვე წასული იყო—დაამოწმოს რა კილოთი იყო ყველა ეს ნათქვამი). უცნობმა დამიყვირა: გარეთ გაეთრიეთ, მომშორდით აქედან"-ო (რამდენჯერმე განიმეორა).

გამოვედი მეტად აღელვებული: კარებში დავიძახე: „უზრდელები, ტუტუცები!" მე არ მახსოვს, თუ ,,სვოლოჩ'' ვსთქვი. ,,შრომა დაბეჯითებით იმეორებს, იგინებოდაო; ალბათ წამომცდა და ძალიან ვწუხვარ: გინებას საზოგადოთ არ ვარ ჩვეული, მით უმეტეს რუსულს, თუმცა უცნობმა ისეთი შეურაცხყოფა მომაყენა, შემეძლო ბევრი რამ მეთქვა. გარეთ გამოსულმა მოვიწადინე უცნობის ვინაობის გაგება და ვსთხოვე ბ. მებუკეს. უცნობი თავად გამეცნო:

მე გახლავარ Илья Давидовичъ Нуцубидзе-ო და დამემუქრა ,,გიჩვენებ სეირს''-ო.

ეს იყო და ეს.

დარწმუნებული ვარ, არაფერი ეს არ მოხდებოდა, რომ იმ თავითვე თავად რედაქტორი მენახა.

,,შრომის'' წერილების დანარჩენ ადგილებს, სადაც რადიკალიზმითა და პროგრესისტობით გვაკვირვებენ, უყურადღებოთ ვსტოვებ, რადგან ვფიქრობ, პოლემიკური ენითა და არა სერიოზულათაა ნათქვამი. ,,ვიღაც'' ვუკოლ ბერიძე.

ჩვენი მედიცინის მდგომარეობა

მართალია, დღეს საქართველო ყოველმხრივ ფრთა შეკვეცილია, რომ თავისუფალი მეცნიერება ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენებული შექმნას. სწავლა-განათლების საქმის უკუღმართი წარმოება ჩვენში ძალიან ცუდ ნაყოფს იძლევა. სოფლის შკოლებიდან დაწყებული უმაღლეს სასწავლებლამდი ჩვენი მოზარდი თაობა მოკლებულია თავისუფლათ სამშობლო ენის შესწავლას. ამისთანა მდგომარეობა საქმისა უექველათ აფერხებს თავისუფალი მეცნიერების შექმნას. განსაკუთრებით მე მსურს მივაქციო მკითხველის ყურადღება ჩვენი მედიცინის მდგომარეობას. ვინ არ იცის, რომ რამდენი არის თვით ჩვენი სწავლულ აქიმებთა შორის იმისთანა პირები, რომელთაც არ ძალუძთ ქართველ ავათმყოფს თავის სულ-მხუთავი სნეულება დაუსახელონ: Подагра ქართულად გადაუთარგმნონ და კოლინჯის ქარი რას ქვია გაიგონ. ასეთი მაგალითი ხშირია. მე არ ვამბობ, რომ ჩვენს აქიმებს აკლდესთ ცოდნა-სწავლა, რომ მათ არ ქონდესთ შეთვისებული მეცნიერება, არა, მე იმას ვამბობ, რომ მათი მეცადინეობანი ქართველ ხალხისათვის ხშირათ ჩრებიან უნაყოფოთ. ამ გარემოებით აიხსნება ის მოვლენა, რომ აქამდი მაგრათ ფეხ-გადგმული აქვს ჩვენ ხალხში არჩიელობას და შესალოცვებს,—რომ ბებერ მარჩიელებს მეტი გავლენა აქვთ ხალხზე, ვიდრე ჩვენს დიდ ნასწავლ აქიმებს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ „ფორმით" ჩვენი თანამედროვე მედიცინური სწავლა ძველ ჩვენს მედიცინურ სწავლასთან ძალიან დაშორებულია, პირველს მეორეში ნიადაგი არ მოეპოება და მათ შორის არ სუფევს „კავშირი ფორმალური" ე. ი. მეცნიერების გარეგნულათ გამოხატვის საშუალება... საჭიროა მეცნიერულათ გამოკვლევა ჩვენი ძველი მედიცინისა, რომ ხალხს დაუახლოვოთ თანამედროვე მედიცინა; საჭიროა, რომ თვით აქიმებს რიგიანათ გარკვეული ქონდესთ თვისი და ხალხის მშობლიურ ენაზე ყველა ის მცნებანი მეცნიერებისა, რომლის გავრცელებას ემსახურებიან თანამემამულეთა შორის.

ხალხში მეცნიერების (მასთან მედიცინისაც) ამნაირად აღორძინება-განვითარების წინააღმდეგ, მგონია, არვინ წავა, რადგანაც ეს გზა არის სწორი და ბუნებრივი... დიახ, მე აქ მინდოდა იმის თქმა, რომ ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩვენი ძველი მედიცინის მეცნიერული შესწავლა. დღეს ჩვენ ბევრი აქიმი გვყავს, მათ [illegible] სახელგანთქმულნიც არიან, მაგრამ ერთს მათგანს არ მოსვლია [illegible] რომ შეესწავლებია ძველ საქართველოში მედიცინის მდგომარეობა.

შეიძლება ზოგს მათგანს დრო არა ქონდეს, ზოგს ქართული ენის რიგიანი ცოდნა აკლდეს, ზოგს კი მასალა არ მოეპოებოდეს. ასეა თუ ისე, ძალიან ცუდ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ დღემდი არ მოგვეპოება წიგნი, სადაც თანდათანი დალაგებით გარკვეული იყოს მედიცინის მდგომარეობა საქართველოს სხვადასხვა ეპოქაში. პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი სამართლიანათ შენიშნავს თავის ქართულ სიტყვიერების ისტორიაში, რომ „აქამდი ჩვენი კარაბადინი, რომელსაც კავშირი აქვს არაბულ-სპარსულ ამგვარ წიგნებთან, სამწუხაროდ მეცნიერულათ არ არის შესწავლილიო". მე ამას დავუმატებ, რომ ჩვენი კარაბადინების შესწავლა აუცილებელ საჭიროებას და დროთა უკვე შესაფერ მოვლენას შეადგენს, რადგანაც მათი შესწავლა შეგვძენს აურებელ სამედიცინო ლექსიურ მასალას და გაგვაცნობს, თუ როგორ მდგომარეობაში იყო ჩვენში ძველათ წამლობა—მკურნალობა... მერე რა შეადგენს მათი შესასწავლი მასალებს? ჩემის ფიქრით ყველა ის მასალა, რომელიც ეხება წამლობა-მკურნალობის საგანს. ამიტომ ჩვენ უნდა მასალათ ჩავთვალოთ: კარაბადინები, შელოცვები, ჩვენში ძალიან გავრცელებული ჯადოების და მისნობის წიგნები, წიგნი სიცოცხლისა და სიკვდილისათვის, წიგნი სამეცნიერო თორმეტთა და თექვსმეტთა ვარსკვლავთა, საკითხავო -სამარჩიელო წიგნები, აგრეთვე ხალხის შორის გავრცელებული ბალახით წამლობა. აგრეთვე ყველა ის წყარო სადაც აგვიწერენ ასეთ თუ ისეთთვისება-გავლენას ვარსკვლავთა, ცხოველთა და მცენარეთა კაცის სიმრთელეზე. ასტროლოგიური წიგნები, ეფუთები, ხირომანტია ანუ ხელზე-მკითხაობა, ეტლის ანუ ბედ-იღბლის წიგნები, სამთვარიო, ასოთ სამღერალი, საქუხო, სიზმრის ახსნები და სხვა. ყველა ეს მასალები ჩვენი წინაპრების მხოფლმხედველობას ოდნავად მაინც დაგვისურათებს ადამიანის ბუნებაზე, ბალახ-წამლებთა თვისებებზე, კაცის სიმრთელისათვის ასტროლოგიის მნიშვნელობაზე და სხ. განა ცოტაა საქართველოში გაბნეული უსათაურო და სათაურიანი სამკურნალო ხელნაწერი წიგნები!? საჭიროა, რომ ამისთანა ხელნაწერი წიგნები შეგროვილ იქნას ქართველთა შორის წ. კ. საზოგადოების ანუ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმებში... აგრეთვე ძალიან კარგს იზამს ზემოხსენებული რომელიმე საზოგადოება, რომ გადასცემდეს ვინმე სპეციალისტ მკვლევარს ყველა იმ მასალას, რომელიც მოეპოებათ მათ თავის სიძველეთ-საცავში მეცნიერულ შესასწავლათ...

აქვე მსურს გავუზიარო მკითხველ საზოგადოებას, რომ დაბა ახალ-სენაკის ავეჯეულობის მოხელე იოსებ როსკიპის ძე კემულარიას აქვს სხვა ძველ ხელნაწერ წიგნებთა შორის (ვეფხის-ტყაოსანის ხელნაწერ და სხვების) ერთი უძველეს კარაბადინისაგან გადმონაწერი წიგნი-კარაბადინი. ამ წიგნის სათაური ასე იწყება: ,,ესე კარაბადინი დასწერა ჯალინოზ და ლოღმან აქიმმა''-ო. კარაბადინი ძნელათ გასაგები ენითაა დაწერილი. მას შიგ არის მოქცეული ძველებურ-ქართული მრავალი სახელი წამლებისა. ერთს ადგილას ეს კარაბადინი იხსენიებს ვინმე ბრძენ-აქიმს ბაგრატს. ამ კემულარიის კარაბადინში შეტანილია გადამწერისაგან მეორე კლაპიტანოვისა კარაბადინი. ეს უკანასკნელი რუსულიდან არის ნათარგმნი ელისავეტოპოლის შტაბ-ლეკარ პეტრე კლაპიტანოვისაგან. აგრეთვე კემულარიის კარაბადინში შიგა და შიგ მოთავსებულია ბევრი შელოცვა: ქართული, არაბული, ბერძნული და თათრული.

მსურველ მკვლევარს მივუთითებ მე ამ კარაბადინზე. უეჭველათ ეს კარაბადინი ღირსია შესწავლისა. საჭიროა გამოირკვეს ვინ იყო ჯალინოზ აქიმი? ვინ იყო ლოღმანი? ბრძენ-აქიმი ბაგრატი? რა შეუტანიათ მათ საქართველოს სამედიცინო სალაროში? და სხ.

გვაქვს იმედი, რომ გამოჩნდება ვინმე ცნობის მოყვარე ქართველი მკვლევარი

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, ზომიერ ფასებში საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის ჯიბის წიგნები,
მიღებულია და იყიდება
პორტფელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.
ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.
მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანაღდი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.

პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

Тифлисская контора Акціонернаго Общества пробочной мануфактуры ВИКАНДЕРЪ и ЛАРСОНЪ

симъ имѣетъ честь довести до свѣдѣнія почт. покупателей, что нашъ „ЛИБАВСКІЙ ЛИНОЛЕУМЪ“ въ КУТАИСѢ имѣется въ продажѣ исключительно въ магазинѣ Ф. С. ФИЛИППОВА. Въ виду того, что въ газетѣ „ИМЕРЕТИ“ недавно появилось объявленіе одной кутаисской фирмы, съ предложеніемъ „Либавскаго Линолеума“, считаемъ своимъ долгомъ предупредить лицъ интересующихся этимъ матеріаломъ, что названіе „Либавскій Линолеумъ“ принадлежитъ только производству нашихъ заводовъ и что помимо Ф. С. Филиппова въ Кутаисѣ на линолеумъ у насъ перепродавцовъ нѣтъ. Рекомендуя этотъ фабрикатъ какъ лучшую и гигіеничную настилку для половъ просимъ за смѣтами и другими справками обращаться къ названной выше фирмѣ.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალიერისა ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულობი, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის ,,ვიკანდერ და ლარსონის'' სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.

პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

აქიმი და ზემოაღნიშნულ მასალების შესწავლით შეავსებს დიდმნიშვნელოვან ნაკლს ჩვენი სამედიცინო ლიტერატურისას.

გრიგოლ ხუროძე.

◆

წერილი წყალ-გაღმა ნაწილიდან

ქუთაისში მდ. რიონის მარჯვენა ნაპირას მცხოვრებნი შეადგენენ „წყალ-გაღმა ნაწილის“ საბოქაულოს. დღეს მცხოვრებთა რიცხვი ამ კუთხეში ყოველ თვეობით მატულობს, ქალაქი გაიზარდა, სამხრეთით ს. ს. მესხეთისა და ვაკისუბნის საზღვრებს გასცილდა, დასავლეთით კი თითქმის ს. ს. ბანოჯამდი და ქვიტირამდი ჩადის, და ეჭვი არ არის, რომ მალე ქალაქის ეს ნაწილი გაუთანასწორდება მცხოვრებთა რიცხვით გაღმა ნაწილს, საზოგადოთ ეს კუთხე, **განსაკუთრებით განაპირა უბნები**, მოკლებულია, როგორც ადმინისტრაციისა, ისე ქალაქის გამგეობის მხრით ჯეროვან ყურადღებას: მიუხედავათ იმისა, რომ მცხოვრებლებს გვხვდება სახლების შესაფარებელი სახელმწიფო, საერობო და ბინის გადასახადები, მაინც უყურადღებოთ ვართ და არც პოლიციელი გვყავს, არც გზები გვივარგა, და არც განათება გვაქვს. მთავარი ქუჩები ი. ჭავჭავაძის (გეგუთის), მესხეთის და ორპირის ნახევარ მანძილზე არის რიყის ქვით მოფენილი, ძველი-ბანაკის (ლაგირის) ქუჩა, რომელიც მიდის ორპირის ქუჩიდან ს. ვაკისუბნის საზღვრამდი, ისე ათხრებულია, რომ გავლა გასაჭირია; დანარჩენ წვრილმან ქუჩებისა და შესახვევების შესახებ ხომ ლაპარაკიც მეტია.

პოლიციელი შეიძლება ნახოთ ერთი ორპირის ქუჩაზე და ერთი „ლულაძისგულ“ მოედანთან, სხვაგან, რაც უნდა უბედურება მოხდეს, პოლიცია ვერას გაიგებს, თუ შენ თვითონ არ შეატყობინე. ამოდენა კუთხისათვის ერთი პოლიციის ნაწილი დღეს აღარ კმარა *) საჭირო არის ერთი პოლიციის ნაწილი კიდევ მოემატოს; კარგი იქნება, თუ ამ გარემოებას მიაქცევს ყურადღებას ახალი პოლიცმეისტერი. რაც შეეხება ქუჩების შეკეთებას და განათებას, ქალაქის გამგეობამ უნდა ითაოს ყოველივე ეს და მცხოვრებლებს შეაწეროს ორი წილი გადასახადისა, გზებისა და განათების ხარჯად; ამასთანავე საჭიროა ამ კუთხეში დროზე გაიხსნას საფოსტო განყოფილება.—ამას წინად „ლულაძისეულ“ მოედნის გარშემო მცხოვრებლებმა თხოვნით მიმართეს ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას, რათა დაუარსონ მათ „ლულაძისეულ მოედანზე წიგნთსაცავ-სამკითხველო, თან პასუხის მგებელი პირიც წარუდგინეს; იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ განყოფილება მალე იშუამდგომლებს გუბერნატორთან და აიღებს ნებართვას. ამ კუთხეში ღარიბ მცხოვრებთა ბავშთათვის არის დაარსებული ერთი ქალაქის პირველ დაწყებითი სასწავლებელი, რომელიც სამწუხაროთ ვერ არის რიგიანად მოვლილი: შეუკავებელი, წინ რკინის მოაჯირი ჩამტვრეული, ეზო და ბაღი ეკლით და ჟალტამით დაფარული, სასწავლებლის აივანი ნაგავით ავსებული და მინები ჩატეხილი—არა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს გამვლელზე; ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ სკოლა უყურადღებოთ და უპატრონოდ არის მიტოვებული, სკოლას დარაჯი მაინც უნდა ჰყავდეს ფხიზელი, რომელსაც დავალებული უნდა ჰქონდეს მისი მოვლა.

ეს სასწავლებელი ამ კუთხის მცხოვრებთათვის არ კმარა, ამიტომ კარგს ინებებს ქალაქის გამგეობა, თუ დროზე გაუხსნის მცხოვრებლებს კიდევ ერთ პირველდაწყებით სკოლას.

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხო იმ უწესოებასაც, რომელსაც ხშირად ადგილი აქვს აქაურ ეკლესიებში: ზიარების დროს და აღდგომის კვირაში ზოგან დიდი ალიაქოთი აქვთ ერთმანეთშორის მედავითნეებს კორკოტისა, პასქებისა და „საზედაშე“ ღვინის გაყოფის დროს; ეკლესიაში ყველა უფროსობს, მედავითნე, მნათე და დარაჯიც, რის გამო ხშირად ისინი იბრძვიან, მღვდელი კი ან ყურადღებას არ აქცევს, ან და ნამუსს უნახავს ასეთ პირებს. ამ ოთხიოდე თვის წინად პიტრეპავლეს ეკლესიის მრევლთაგანმა საჩივარი შეიტანა ეპისკოპოზთან ამავე ეკლესიის მნათეზე, რომელსაც ბრალს სდებდა, რომ ის მთვრალი შედის ეკლესიაში და თვითნებობს, „საზედაშე“ ღვინოს ისხამს დოქში და მიაქვს სახლში სასმელად, ჯვარის წერის დროს, „შაფერები“ (ძმადე) რომ სანთელს იყიდიან, იმას ინახავს თვითონ და თავმომწვარ სანთლებს კი ანთებს, შემდეგ შენახულ სანთლებს მეორეჯერ ყიდისო, ამ დროს კარების გასაღებს თითო მანეთს ახდევინებს, მიცვალებულის გასვენების დროს ბაირაღის გამოსატანს მანეთ ნახევარს იღებს და სხვა...

ყოვლად სამღვდელომ გადმოსცა ეს საჩივარი ეკლესიის გამგე ღვდელს თუ არა, ეს არ ვიცით, ხოლო თხოვნა კი უყურადღებოთ იქმნა დატოვებული, რის გამო მომჩივანმა შემდეგ ამ გვარი თხოვნა სინოდალურ კანტორაში გაგზავნა. როგორც ვიცით, საეკლესიო შემოსავალ-გასავალს უნდა ჰყავდეს სარევიზიო კომისია, რომელიც უნდა მოიწვიოს ღვდელმა და მათი თანადასწრებით გამოიძიოს და შეამოწმოს, რამდენად მართალია მრევლის ამ გვარი საჩივარი. ეპისკოპოზის შეწუხება რაღა საჭიროა, როდესაც ადგილობრივი ღვდელი ვალდებულია გაიგოს, რა ხდება მისდამი რწმუნებულ ეკლესიაში და ალაგმოს, როგორც თავისი მედავითნეები, ისე დარაჯიც.

მარი-ოდლი.

---

*) ამ პოლიციის ნაწილში შედის კიდევ ფერმა და არქიელის გორა.

რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ჯაიანი.**

ქუთაისში
ქარხანა
1906
თბილისში

განცხადება.

ქუთაისის სააზნაურო ქართულ გიმნაზიაში მომავალი სასწავლო წლისთვის ვაკანსიები არც ერთ კლასში არ მოიპოება. თავისუფალი ვაკანსიები იქნება მოსამზადებელი კლასის პირველსა და მეორე განყოფილებებში და თხოვნები (წლოვანობის, წოდების და აცრის მოწმობებით) 25 აგვისტომდი უნდა წარმოადგინონ.

მისაღები ეგზამენები მოხდება 28 აგვისტოს

ხელახალი ეგზამენებისთვის მე 5, 6 და 7 კლასების მოსწავლეები 21 აგვისტოს უნდა გამოცხადდენ, დანარჩენ კლასებისა და განყოფილებათა მოწაფეები კი -25 აგვისტოს.

ქუთ. სააზ. ქართული გიმნაზიის გამგის მაგიერ გ. ტაგარეიშვილი.

შექსპირი ქართულად!
გამოცემა **ივანე მაჩაბლის** თარგმანებისა.

მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ

შექსპირის

რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიო' კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). -გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოსცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა საძნელოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველი** შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს--1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში**: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამომცემელი **ქნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**

კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.
× × წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემა × ×
იბეჭდება და მალე გამოვა გასაყიდათ:
არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვითი სავარჯიშოების **კრებული**
პირველ დაწყებითი შკოლებისათვის, შედგენილი ქუთაისის საზნაურო შკოლის მასწავლებელთა მიერ.
კრებული დასურათებულია და ღირს 7 შაურად.

თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა
კურსების მადნეული წყლის
აბანო.

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კურსების აბანო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშვების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძლიერ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით გ. მ. არჯევანიძე.

მუშაონს
ხრესილის მადნეული წყლის
ძმ. ჟორჟოლაძეების
სამკურნალო აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუკს**, **საყმაწვილოებს**, **ნერვების სისუსტეს**, **ჩაყოლილ ციებას (მალარიას) კუჭის ტკივილს**, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის ,,სტანცია სერნია ვოდის''.

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები



შინები, ნაწილები და მოწყობილობანი კონკურენციის გარეშე
ყველაზე იაფად
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

ქუთაისში.
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უფლებაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
გ. გ. გიგინეიშვილისა

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიში.
კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ენკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე: გ. გ. გიგინეიშვილი.

სტამბა „ძმობა„ პუშკინის ქუჩა სახლი, გოკიელოვის,